ხელშეკრულება №25
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **5 სექტემბერი 2019 წ**

შესყიდვის განხორციელების მიზნით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის თანახმად (CPV15800000; 15831000; 15861000; 15863100; 15863200; CPV 15900000; 15981100; 15981200; CPV 39200000; 39223100; 39221120);

ერთის მხრივ, **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი,** წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩილ კიკვაძის სახით (შემდგომში შემსყიდველი).
მისამართი: ქ. თბილისი, წმიდა ქეთევან დედოფლის (ყოფილი წამებულის) გამზირი №96.
საიდენტიფიკაციო კოდი: 206350312
ხაზინის ერთიანი ანგარიში, სახაზინო კოდი: 707727519

და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „უნივერსამი"** წარმოდგენილი მისი ხელმოწერი პირის იოსებ ღუდუშაური სახით (შემდგომში მიმწოდებელი),
მისამართი: ქ. თბილისი, წმიდა ქეთევან დედოფლის (ყოფილი წამებულის) გამზირი №98;
საიდენტიფიკაციო კოდი: 400192616;
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თი ბი სი ბანკი" ანგ. **GE55TB7066636020100013;**

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

მუხლი 2 ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს შეადგენს სხვადასხვა დასახელების საკვები პროდუქტებისა (**CPV 15800000),** სასმელი, თამბაქო და მონათესავე პროდუქტებისა (**CPV 15900000)** და ავეჯის აქსესუარების (**CPV 39200000),** შეძენა **კერძოდ:**

2.1.1. საკვები პროდუქტებია (**CPV 15800000):**

2.1.1.1. ყავა ნესკაფე გოლდი (**CPV**15861000) (შუშა) 15 ცალი. (ერთი ცალის ღირებულება 12 ლარი და 95 თეთრი)

2.1.1.2. ჩაი გურიელი შავი (**CPV**15863100) 14 ცალი. (ერთი ცალის ღირებულება 2 ლარი და 55 თეთრი)

2.1.1.3. ჩაი გურიელი მწვანე (**CPV**15863200) 5 ცალი. (ერთი ცალის ღირებულება 3 ლარი 05 თეთრი)

2.1.1.4. შაქარი კალო (**CPV**15831000) 10 ცალი. (ერთი ცალის ღირებულება 2 ლარი)

2.1.2. სასმელი, თამბაქო და მონათესავე პროდუქტებია (**CPV 15900000):**

2.1.2.1. არაგაზირებული მინერალური წყალი სნო (CPV 15981100) 100 ცალი. (ერთი ცალის ღირებულება შეადგენს 0. 45 თეთრს)

2.1.2.2. გაზირებული მინერალური წყალი კოკა-კოლა (CPV 15981100) 100 ცალი (ერთი ცალის ფასი 1 ლარი და 15 თეთრი)

2.1.3. ავეჯის აქსესუარებია (**CPV 39200000):**

2.1.3.1. ერთჯერადი კოვზი (**CPV 39223100)** 24 ცალი. (ერთი ცალის ფასი 0. 35 თეთრი)

2.1.3.1. მინის (წვენის) ჭიქა (**CPV 39222120)** 12 ცალი. (ერთი ცალის ფასი 1 ლარი)

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 445 ლარსა და 60 თეთრს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

მუხლი 4. პროდუქციის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი პროდუქციის მიწოდება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან **5 სამუშაო დღის ვადაში.**
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: თბილისი, წმიდა ქეთევან დედოფლის (ყოფილი წამებულის) გამზირი №96.

მუხლი 5. პროდუქციის ხარისხი და გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, მიწოდებული პროდუქცია შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საგარანტიო შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს პროდუქციის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.
5.3 მიმწოდებლის მიერ 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია დროულად აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული პროდუქციის წუნდების მიზეზის მითითებით.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება პროდუქციის მიწოდების შემდეგ 10 სამუშაო დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.
8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: <u>საბიუჯეტო სახსრები.</u>
8.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 9. ფასები

9.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).
9.2. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;
10.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;
10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

მუხლი 11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას;
11.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

მუხლი 12. მხარეთა უფლება–მოვალეობები.
12.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქცია;
12.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
12.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქცია;

მუხლი 13. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

13.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის;
13.2. თუ ერთ–ერთი მხარე არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, მეორე მხარე უფლებამოსილია წერილობითი ფორმით გააფრთხილოს იგი შეასრულოს ხელშეკრულების პირობები;
13.3. ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ ვალდებულებების კვლავ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს, შესაბამისი გაფრთხილების გაგზავნისა და დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
13.4. წინამდებრე ხელშკერულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას: გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 0.1% პროცენტის ოდენობით.
13.5. შემსყიდველი პასუხისმგებლობას კისრულობს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს ვადაგადაცილებული თანხის 0.01% პროცენტი.
13.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 14. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.
მუხლი 15. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 5 სექტემბერს და მოქმედებს 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

მუხლი 16. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

16.1. არანაირი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.
16.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;
ბ) ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;
17.2. შემსყიდველი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ მიმწოდებლის მიერ, დარღვეული იქნება სამუშაოს შესრულების ვადები 10 დღის განმავლობაში.
17.3. შემსყიდველის მიერ 10 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
17.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 18. დავების განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19. დამატებითი პირობები

19.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.
19.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად დადგენილი პირობებით, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
19.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
19.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
არჩილ კიკვაძე Archil Kikvadze Digitally signed by Archil Kikvadze _____	იოსებ ღუდუშაური _____
სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი	შ.პ.ს. „„**უნივერსამი**“-ს“ დირექტორი